ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N15; N15ა; N17; N19; N21; N23; N25; N25ა; N27, დაბა მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი N15; რაიონი ხელვაჩაური, სოფელი განთიადი, დაბა მახინჯაურის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.30.39.006; 05.30.39.007; 05.30.39.011; 05.30.39.012; 05.30.39.019; 05.30.39.021; 05.30.39.023; 05.30.39.025; 05.30.39.026; 05.30.39.030; 05.30.39.031; 05.30.39.037; 05.30.39.041; 05.30.39.043) წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამუშავებისათვის

გაცნობებთ, რომ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურში მიმდინარეობს წარმოება შპს "სიფერლი"-ს (ს/ნ 445776312) 2025 წლის 04 ივნისის 10/1425155436-14 განცხადების საფუძველზე, ქ. ბათუმი, თამარ მეფის გამზირი N15; N15ა; N17; N19; N21; N23; N25; N25ა; N27, დაბა მახინჯაური, თბილისის გზატკეცილი N15; რაიონი ხელვაჩაური, სოფელი განთიადი, დაბა მახინჯაურის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.30.39.006; 05.30.39.007; 05.30.39.011; 05.30.39.012; 05.30.39.019; 05.30.39.021; 05.30.39.023; 05.30.39.025; 05.30.39.026; 05.30.39.030; 05.30.39.031; 05.30.39.037; 05.30.39.041; 05.30.39.043) მრავალფუნქციური სახლის მშენებლობისათვის წარმოდგენილ გეგმარებით ერთეულზე განაშენიანების დეტალური გეგმის კონცეფციის დამტკიცების თაობაზე.

გეგმარებითი ერთეული მოიცავს კვარტალს, რომლის ფართობი შეადგენს 7300,00 კვ.მ-ს, მოიცავს 14 მიწის ნაკვეთს, საერთო ფართობით 6317,00 კვ.მ. გეგმარებით ერთეულში მოქცეული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისათვის დაგეგმილია ქალაქმშენებლობის პარამეტრების ცვლილება, მათ შორის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის კ2-ის სიდიდის ცვლილება/გაზრდა დადგენილი 2,5-დან 17,0-მდე, ასევე მაქსიმალური სიმაღლეების და სხვა პირობების განსაზღვრა. აღნიშნული წარმოადგენს საერთო ქალაქგეგმარებითი ხასიათის ცვლილებებს და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ საქართველოს კანონის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტით დადგენილია ამ მაჩვენებლების გადამეტების საფუძველი - გდგ, შესაბამისად საჭიროებს დაგეგმვას და კერძო ინიციატივის საფუძველზე, ქალაქ ბათუმის მერის მიერ 2025 წლის 30 მაისს გამოცემულ იქნა №14.14251509 ბრძანება „ქალაქ ბათუმში, თამარ მეფის გამზირი N15; N15ა; N17; N19; N21; N23; N25; N25ა; N27; ბათუმი , დაბა მახინჯაური , თბილისის გზატკეცილი N15; რაიონი ხელვაჩაური, სოფელი განთიადი; ქალაქი ბათუმი , დაბა მახინჯაურის მიმდებარედ მდებარე მიწის ნაკვეთებზე (ს/კ: 05.30.39.006; 05.30.39.007; 05.30.39.011; 05.30.39.012; 05.30.39.019; 05.30.39.021; 05.30.39.023; 05.30.39.025; 05.30.39.026; 05.30.39.030; 05.30.39.031; 05.30.39.037; 05.30.39.041; 05.30.39.043) მრავალფუნქციური სახლის მშენებლობის მიზნით განაშენიანების დეტალური გეგმის დამუშავებისათვის ინიცირების გაცემის შესახებ“.

განაშენიანების დეტალური გეგმა ატვირთულია დანართის სახით, დაინტერესებულ პირებს გაქვთ შესაძლებლობა გაეცნოთ და წარმოადგინოთ თქვენი მოსაზრებები, როგორც წერილობითი ფორმით საჯარო განხილვამდე, ასევე დააფიქსიროთ საჯარო განხილვის დღეს.

განაშენიანების დეტალურ გეგმასთან დაკავშირებით საჯარო განხილვის ორგანიზება დაევალოს ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურს და აღნიშნულ წარმოებაზე საჯარო განხილვა გაიმართოს 2025 წლის 24 ივნისს 11 სთ-ზე.